



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შური.

სულის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სმვა-და-სსვა სსგნებზე, მოსაუბრისა. — შინაური მიმოხილვა. — ღ. ნ. ასათიანი. — სსვა-და-სსვა აშბები. — რუსეთი. — საზღვარ-გარეთ — კორესპონდენციები, ილია ბახტაძისა. — წერილი ქუთაისიდან, ისი-სა. — სტუდენტის დღიურიდან, ვინ-ქანი-სა. — პსინიურ და სოც. მოვლენათა თანდათანობაზე, Tusci-სა. — წერა-კითხვის გამავრც. საზ. კრება, დამსწრესი. — სამშობლო ცაზე, რიგოლეტოსი. — სიმინდის მღილი. — უერნალ-გაზეთებიდან.

მიიღება ხალის მოწერა 1902 წლისათვის

საზოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატბიანი გავითი „**კ ვ ა ლ ი**“ (წელიწადი მეთე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გავართობაული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ეგროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს

გაზეთი წლიურათ ღ რს თფილისში 7 მან., თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ

4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შური. ადრესის გამოცვლა თფილისის გარეთ ღირს ორი აბაზი. ხელის მოძვერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავადაზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე — შირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბუხნიევილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამეცნიერლოში; ოზურგეთში და ახალსენაში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში სილოვან კვიციანიძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция „КВАЛИ“.

საუბარი სსვა-და-სსვა სსგნებზე.

XIV.

8 ნოემბერს შესრულდა ოც-და-ჩვიდმეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენში პირველათ გამოცხადდა გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან. ჩვენ მწერლობაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისათ გამოჩვეული და დაფასებული ამ ღირსშესანიშნავი საზოგადოებრივი ცვლილების მნიშვნელობა; შეუსწავლელი და გამოურკვეველია აგრეთვე თვით ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ მომავალ ორმოცა წლის იუბილეისთვის მაინც ავიშოროთ თავიდან ეს დიდი ნაკლი, თუ სრულებით არა, რამდენიმეთ მაინც. აქ კ ჩვენ გვსურს შევებოთ ერთ ფრიად საყურადღებო საკითხს ბატონ-ყმობის შესახებ, სახელდობ იმას, თუ ვინ იყო ის, ვინც ჩვენში პირველათ გამოეხარჩლა ყოველგვარ ადამიანურ უფლებას ჩამორთმეულ, დაჩაგრულ და მიწასთან გასწორებულ გლეხ-კაცობას, ის, ვინც პირველათ აღამალდა ხმა ფეხქვეშ გათელილი ქეშმარიტების და სიპართლის აღსადგენათ, ვინც პირველათ უშიშრათ და გაბედულათ საქვეყნოთ დაგმო ბატონ-ყმური წეს-წყობილება, რომელიც ძალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი მაშინდელ საზოგადოებას? მართალია, ეს დიდი

ხნის აშბავი არ არის, მაგრამ მიუხედავთ ამისა, როგორც ჩვენ მწერლობაში, ისე ჩვენ საზოგადოებაშიაც ამის შესახებ სრულიად შემცდარი შეხედულება არსებობს. ჩვენ აქ საუბარს არ გავაგრძელებთ არც ბატონ-ყმურ უროიერთობის დახასიათებაზე და არც იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა ჩვენში ეს წეს-წყობილება, ე. ი. თუ როგორ მოხდა რომ თავისუფალი საზოგადოების თუ თემის თავისუფალმა წევრმა როგორ დაკარგა თავისუფლება და გახდა ყმა, რომელიც მთელი თავისი სარჩო-საბადებელით და მიწა-წყლით მებატონეს სრულ საკუთრებას შეადგენდა. ყოველივე ეს ჩვენ უნდა მივიღოთ არსებულ ფაქტათ, ე. ი. უნდა მივიღოთ, რომ ვახტანგ VI კანონი, რომლითაც მებატონეს მინიჭებული ჰქონდა ყოველგვარი უფლება, როგორც თვით ყმაზე, ისე მის ოჯახზე და ყოველგვარ მის სარჩო-საბადებელზე (ვახტ. კანონი §§ 258, 260 და 95), ცხოვრებაში უწვევრვალეს ხარისხამდე განმტკიცდა, ასე რომ პრაქტიკამ ბევრათ გადააქარბა თვით კანონს და როგორც აშბობს ა. ხახანაშვილი, „ვახტანგის კანონით ბატონს არ შეეძლო ის, რაც მიანიჭა შემდეგ ჩვეულებამ“. 1) აქ ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ

1) ა. ხახანაშვილი, ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე. გვ. 83.

თავის თავი ისე, ვითომც ჩვენ ვცხოვრობთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ეს ის დროა, როცა დასავლეთ ევროპაში ბატონ-ყმური ურთიერთობა დიდი ხნიდან გამკრალია, ადამიანის უფლება აღდგენილია და ყოველგვარი პრივილეგიები ანუ უფლებრივი უპირატესობანი მოსპობილი. ჩვენში კი ამ დროს ადამიანის პიროვნება მხოლოდ სახმარი ნივთია (res), რომელსაც ბატონი ყავს და როგორც მისი ნებაა, ისე ექცევა. ეს ის დროა, როცა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში იშვა და განვითარდა ეგრეთ წოდებული მესამოცე წლების მოღვაწეთა განმანათლებელი მოძრაობა, მთელი თავისი ძალ-ღონით მიმართული უმთავრესათ იმ სულის შემხუთავ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდებოდა და რომელმაც მრავალ მამულიშვილს აუღლევა გული და თავ-განწირული სიმამაცით გამოიყვანა საბრძოლველ მოედანზე. დასასრულ ეს ის დროა, როცა 1861 წლის მანიფესტი სამუდამოთ სპობს რუსეთში ბატონ-ყმურ მონობას. ჩვენში ჯერ კიდევ ბატონ-ყმური ურთიერთობაა გაბატონებული. როგორ უყურებდა მას მაშინდელი ჩვენი საზოგადოება ან მაშინდელი მოწინავე პირები, თუ ასეთები მაშინ ჩვენ გვებოდნენ?

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოების აზრის და შეხედულების გამომთქმელი ორგანო არის ერთი მხრით ქურნალ-გაზეთობა და მეორე მხრით მწერლები. პირველი ჩვენ ამ ნახევარი საუკუნის წინეთ არ გვებოდა, რადგანაც ვერც გ. ერისთვის «ცისკარს» და თითქმის ვერც ი. კერესელიძისას, პირველ ხანებში მაინც, ასეთ ორგანოთ ჩვენ ვერ ჩავთვით; ხოლო რაც შეეხება მწერლებს, ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ამ დროებაში ისინი არ ყოფილიყვნენ, რადგანაც ეს ფაქტების უარყოფა იქნებოდა. მაგრამ, საქუხაროთ, იმათ არც ლიტერატურულ წერილებში და არც კერძო ბარათებში ბატონ-ყმობის შესახებ სრულებით არაფერი არ აქვთ ნათქვამი; როცა კითხულობთ იმ დროის ჩვენი მწერლების ნაწარმოებთ, ასე გეგონებათ, რომ მაშინ ჩვენში ბატონ-ყმობა სრულებით არ უნდა ყოფილიყოს. ამნაირათ არც ჩვენი ქებული მგოსანი ნ. ბარათაშვილი, არც ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანი, არც თვით გ. ერისთავი, რომელმაც, ბ-ნ მეუწარგიას სიტყვით, „სამსახური გაუწია ერის კეთილდღეობას“ და შექმნა „ახალი, კაცისთვის გულშემატკივარი, (?) სამოქალაქო მწერლობა“²⁾, და შემდეგ არც დ. ყიფიანი და არც დ. ბაქრაძე ბატონ-ყმობის შესახებ კრინტსაც არ ძერენ. ასევე ითქმის თვით ილია ჭავჭავაძემაც რომელიც სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1857 წელს, რადგანაც მისი ერთი ლექსი „ჩიტი“ ამ წლის „ცისკარშია“ დაბეჭდილი, და რომელსაც ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ არა ერთხელ მიუმაართავს ამ საგნისათვის. ამნაირათ, თუმც აქ ჩამოთვლილი მწერლები სრულ სიზუსტეს იცავენ იმ წესწყობილების შესახებ, რომელშიაც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ ჩანს, რომ თვით საზოგადოებაში ამ დროს დიდი მითქმა-მოთქმა, ლაპარაკი უნდა ყოფილიყოს ბატონ-ყმობის შესახებ. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ დროს ურთიერთ შორისი დამოკიდებულება მებატონებებსა და ყმებს შორის უმაღლეს წერტილამდე გამწვავდა, რის გამო გახშირდა მებატონეთა მთელი ოჯა-

ხების ამოწყვეტა ყმების მიერ, როგორც, მაგ., თ. დ. სუმიანი ბათაშვილების ქართლში და ერისთავების გურიისში. ჩვენში აზრს ამტკიცებს თ-დ ვახტ. ჯამბაკურ-ორბელიანის წერილი „ცისკარში“ ამ სათაურით: „უწინდელ დროს ბატონ-ყმობა საქართველოში“³⁾. ამ წერილის ავტორი ამბობს, რომ «საქართველოში მებატონეთა ყმა მონათ არ ითქმის, უწინდელ დროში მებატონე თავის ყმას შეილივით (!) ყურს უგდებდა და შეილის მსგავსათ გული ტკიოდა ყმისთვისო...»⁴⁾ თავის მხრით „ყმასაც მებატონე მამასავით უყვარდა, მამასავით შიში ჰქონდაო... უწინდელ დროში ყოველვე მებატონე იმას ცდილობდა, თავისი გლეხ-კაცი გაკეთებული ყოლოდაო“, და შემდეგ ასე ათავებს ავტორი თავის წერილს: „ჰეი, ჰეი! სოფელო, ეს არი წესი შენი?“ აქედან ჩანს, რომ ალ. ორბელიანი ძლიერ უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო იმ გამწვავებული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდნენ მის დროს ერთი მხრით მებატონეები და მეორე მხრით ყმები: ამ ორ მოწინააღმდეგე წოდებთა შორის ატეხილი იყო სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლა; და ძველი დროის მაგალითით მას სურდა გაეკიცხა ის მებატონეები, რომლებმაც არ იცოდნენ არავითარი საზღვარი თავის ქვეშევრდომების, ე. ი. ყმების დაჩაგრვაში და მიწასთან გასწორებაში. უკმაყოფილო აწმყოით, იგი იღვალს ეძებს წარსულში, როცა ბატონ-ყმობა, მისი სიტყვით, მამაშვილობა იყო. ამ ნაირათ თ-დ ალ. ორბელიანს არ მოწონდა ის უკიდურესი მიმართულება, რომელიც ბატონ-ყმობამ მიიღო განსაკუთრებით მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში. რაც შეეხება თვით ბატონ-ყმურ წესწყობილებას, ორბელიანი მისი ნამდვილი მომხრე იყო, და ან კი სად ექნებოდა მას იმოდენი სულგრძელობა და ზნეობრივი ძალა, რომ იგი ამ წესწყობილების წინააღმდეგი გამხდარიყო და სხვა ვინ იქნებოდა მაშინ ჩვენში ბატონ-ყმობის წინააღმდეგი? ვის შეეძლო მის წინააღმდეგ ხმის ამოდება? ლიტერატურა, თუ ეს სახელი დაერქმევა იმდროდელ ჩვენ მწერლობას, იმავე მებატონეთა ხელში იყო, და საიდან შეიძლებოდა, რომ ეს უკანასკნელი თავისი თავის წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ? თვით დაჩაგრული წოდების წარმომადგენელთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საშუალება თავი გამოეჩინათ მწერლობაში და ამ გზით საზოგადოებისთვის გაეცნოთ ყმების მდგომარეობა. მკითხველს კიდევ მოვავაზებთ, რომ ჩვენ მიხწეული ვართ ბატონ-ყმობის მიწურულ ღრეებში: ორი წლის შემდეგ იგი გაუქმდება რუსეთში და ამის შემდეგ გაივლის ოთხი წელიწადი და ჩვენშიაც ასე მოხდება. და წარმოიდგინეთ, რომ ჯერ კიდევ ჩვენ მწერლობაში არაფერი არ თქმულა ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოთ; ჩვენ მაშინდელ სახელოვან მწერალთათვის ასეთი კითხვა ჯერ კიდევ არ არსებობს. ამ დროს კი რუსეთში ბატონ-ყმობის გაუქმების საქმეს საკმარისათ დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული. საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელმაც თავი იჩინა განსაკუთრებით მესამოცე წლების რუსეთის ლიტერატურაში, და გლეხების არეულობათ რომ თავი დაეანებოთ, თვით მთავრობა ყირიმის ომში დამარცხების შემდეგ და-

²⁾ იხ. „ცისკარი“ 1858 წ., № 11.

⁴⁾ აქედან წამოვღა ზღაპარი ბატონ ყმობა ჩვენში მამაშვილობა იყო.

²⁾ იხ. თხზ. ერისთვისა, წინასიტყვაობა, გვ. XVII,



რწმუნდა, რომ არსებული წესწყობილების გაგრძელება პირდაპირ სახელმწიფოს დამხობას მოასწავებდა, და ამიტომ მედგრათ და უკანდაუხეველათ შეუდგა ბატონ-ყმურ ურთიერთობათა გაუქმებას. თუ როგორ უყურებდა რუსეთის მაშინდელი მთავრობა ბატონ-ყმურ წესწყობილებას, ეს ჩანს, სხვათა შორის, იმპერატორ ალექსანდრე II სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 1858 წელს შავისტოს მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში და რომელშიაც, სხვათა შორის შემდეგი საყურადღებო სიტყვები იყო: „სამწუხაროთ ჩემდა—ამბობდა იმპერატორი—ახლა მე არ შემძლია გითხრათ მადლობა. გასვით თქვენ, როდესაც ორის წლის წინათ ამისა, თვით ამავე დარბაზში გეუბნებოდით, რომ: „აჲ იქნება თუ გვიან უნდა შევუდგეთ ბატონ-ყმობის უფლებათა ცვლილებას და უმჯობეს ჩნს დაწესება მადლიან, ვაძრე ქვედან (сверху, нежели снизу)“. ეს სიტყვები მოყვანილია «ცისკრის» 1858 წლის უკანასკნელ ნომერში; ეს გარემოება საყურადღებოა მით, რომ სიტყვას „ბატონ-ყმობა“ თქვენ ვერ იპოვით აქამომდევერც „ცისკარში“ და ვერც სხვათა რომელსამე იმდროის ნაწერში. მაგრამ ეს გარემოება კიდევ სხვა მხრითაც არის საყურადღებო, სახელდობ იგი გვეუბნება, რომ თვით „ცისკრის“ რედაქტორი, ი. კერესელიძე, ბატონ-ყმობის წინააღმდეგი ყოფილა იმ დროს, თუმც ამას აშკარათ ვერ აცხადებს. ასევე ითქმის «ცისკრის» ერთ მაშინდელ თანამშრომელთაგანზე, სახელდობ „მოლაყბზე“ (ფსევდონიმი თ-დ მიხეილ თუმანიშვილისა), რომელიც ზევით მოყვანილ იმპ. ალექსანდრე II სიტყვების გამო „ცისკრის“ იმავე ნომერში ამბობს: „იმ სიტყვების წაკითხვაზე, ყოველი ჩემი გონება, სული და თითოეული ასო გარდაიქცა გრძობათ... ქართველნი!.. ჩვენი მეფე შედგომია იმისთანა საზოგადო კეთილ აზრს, რომელზედაც კვირობს მთელი ევროპა“⁵⁾. როგორც ხედავთ აქაც ყრუ პროტესტი ჩანს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ; ალბათ სხვაგვარი პროტესტი ან შეუძლებელი იყო საცენზურო პირობების გამო და ან ძნელი გასაბედავი თვით ავტორების მხრით.

მოსაუბრე.

(დასასრული იქნება)

შინაურ მიმოხილვა.

დასრულდა დაუსრულებელი კრება წერა-კითხვის საზოგადოებისა. შედგა ახალი გამგეობაც, რომელშიაც შევიდა სამივე პარტიის წარმომადგენლები და იმედი უნდა ვიქონიოთ, ახალი გამგეობა უფრო მეტი ენერჯით შეუდგება საქმეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ელემენტი ისე მალე არ მობერდება და ბებერ ახალგაზრდათ არ იქცევა, როგორც ზოგიერთ წინანდელ ოპოზიციონისტებს მოუვიდათ. ასეთ მდგომარეობაში ჩადგომას ჯობს სრულიად გამოეცალონ. ახალ გამგეობას მთელი ერთი წელიწადი აქვს წინ, სანამ ის კრების წინაშე თავის ნამოქმედარის ანგარიშს წარმოადგენდეს და მაშინ ვნახავთ, რას და როგორ მოიღვაწებს ეს განახლებული გამგეობა, როგორ სპარტლიანი გამგედლო-

ბით წარმოადგება საზოგადოების წინაშე და რამდენათ გაიმტკიცებს მის თანაგრძობას.

* *

არა მარტო ძველისა და ახლის შეტაკებით შეიქნა საინტერესო ეს გაქანურებული კრება. იგი საყურადღებოა ჩვენი ახალგაზღობის ერთი ჯგუფის ფიზიონომიის გამორკვევითაც. ეს არის ჯგუფი «ცნობის ფურცლისა», რომელსაც არ უნდოდა ძველს მიმხრობოდა, მაგრამ ვერც ახალგაზღობის არსებულ წრეს დაკავშირებოდა, პირ-იქით მის უფრო მტრულათ უყურებდა და ძველებთან მეტი საერთო ქონდა. მაგრამ, როგორც იცით, თვით მათი კავშირიც შემთხვევითი ხასიათის იყო, გახეთშიაც ემჩნეოდით შეუთანხმობლობა, და მოსალოდნელი იყო პრაქტიკულ მოქმედებაში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა იგი და ასეც მოხდა. ჯგუფი ორ ნაწილათ გაიყო: ახალგაზღა ბებრები ბებრებს მიემხრენ, ხოლო ახალგაზღობის და დამოუკიდებლობის მსურველებმა ბებრების ანტაგონისტებს გაუწიეს ცალი ხელი, მეორეთი კი ესენიც ბებრებს ჩასქიდებოდენ, თუმცალა დამოუკიდებლათ კი მოქმედებდენ. რასაკვირველია, ეს შემთხვევა ჯერჯერობით ძალიან ცოტას გვეუბნება, მაგრამ თვით ეს დამოუკიდებლობის სურვილი და შემთხვევით აკიდებული ამხანაგების ჩამოცილებაც ღირს-აღსანიშნავათ მივგაჩნია და რამდენათაც მათი ფიზიონომია გამოირკვევა, იმდენათ უმჯობესია მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

პირადათ ჩვენთვის კი რამდენათ მარცხნივ დაიწევს ეს ჯგუფი, იმდენათ სასიამოვნოა, თუმცა ამის იმედი ჯერ ძლიერ მცირეა...

* *

ბებერ ახალგაზღობაში ყველაზე შესანიშნავი ამ კრებებზე ალ. მიქაბერიძე გამოდგა, ხოლო მწერლობაში მისი „alter ego“—ა. ყუმისთაველი. რასაც ბ. ყუმისთაველი „ივერიაში“ დაწერდა, იმას იმეორებდა ალ. მიქაბერიძე კრებაზე, რაც ბ. მიქაბერიძემ კრებაზე ილაპარაკა, იმას იმეორებს ბ. ყუმისთაველი და ასე და ამ რიგათ ისინი არიან ერთსულ და ერთგულ, ერთი არსება ორი სახით, ერთი თავი ორი ენით. იშვიათია ასეთი თანხმობა ჩვენ ცხოვრებაში და მით უფრო სასიამოვნოა, მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა, და იჩინა თავი უთანხმოებამ. უკანასკნელ კრებაზე ალ. მიქაბერიძე ამტკიცებდა, რომ მეორე კრებაში მომხდარი არჩევნები უკანონოა, რადგან არა წევრებსაც (გ. ლასხიშვილს და გ. გძელი-შვილს) მიუღია მონაწილეობა და გარდა ამისა ერთმა წევრმა (ბ. ყ—მა) ორჯერ ისარგებლა ხმითო. კრებამ ყველა ეს განცხადება გააჩნია, მიიღო მხედველობაში წესდებაც და ყოველივე კანონიერათ იცნო. ბ. მიქაბერიძე მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში და არ განუცხადებია, რომ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილებოდა, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო თვით კენჭის ყრაშიც და მით სრულათ დაემორჩილა კრების გადაწყვეტილებას ე. ი. წინანდელი არჩევნების დაკანონიერებას, უამისოთ გაუგებარი იქნებოდა მისი მოქმედება, რადგან უკანონობაში მონაწილეობის მიღება სრულიად არ შეფერის ისეთ გაწვრთნილ ვეჰილს, როგორიც იყო გამგეობისთვის ალ. მიქაბერიძე. მაგრამ, მოგეხსენებათ, რა ძალა აქვს კენჭს და საარჩევნო ყუთს, რა ძნელია გული-

5) «ცისკარი», 1858 წ. № XII.

თადი მეგობრის გაზიარება და სწორეთ ანა ჩამოაგდო უთანხმოება და დააცილა ჩვენი „ორესტი და პილადი“: ა. ყუმისთაველი სრულიად არ ემორჩილება კრების დადგენილებას, შეუძლებლათ მიიჩნია „უკანონობის დაკანონიერება“ (იხ. ივ. 249), და თავგამოდებით იცავს „კანონიერებას“, იმ კანონიერებას, რომელსაც მისი მოლაპარაკე alter ego უნდა გაეყვანა გამგეობაში, მაგრამ ახლა გვიანდა და დაგვიჩენია მხოლოდ ვურჩიოთ ისევ თავის მეგობარს დაუბრუნდეს, მას გამოკითხოს დაწვრილებით, როგორ იყო საქმე და ის აუხსნის სხვათა შორის, რომ კრებას აქვს უფლება ზოგიერთი მუხლი წესდებისა განმარტოს, როცა იქ რამე ნათლათ არ არის გამოთქმული და ამის მიხედვით იმოქმედოს. სულის სიმშვიდისთვის ასე ჯობს და მხოლოდ ამისთვის ვურჩევთ „ნუ დაკარგავს ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“ და კვლავ იყვენ ერთსულ და ერთგულ...

ჩვენი თავად-აზნაურობის სულის სიმშვიდისთვისაც ბევრათ აჯობებდა თავის სატეხათ და საგონებლათ ფული არ გამოჩენოდა. ტყუილა კი არ არის ნათქვამი—ქართველმა ფულის ყადრი არ იცისო და თავად-აზნაური ზომ ქართველზე უქართველესია, ნამეტურ ფულის მოხმარებაში. კიდევ ბედი, რომ ახალ მოპოვებულ წყაროს განსაზღვრული დანიშნულება აქვს, თორემ მთლათ დაკარგავდა თავს ჩვენი ბრწყინვალე წოდება. მაგონდება, რა გასაჭირი გაიარა ამ წოდებამ ორი-სამი წლის წინეთ, როცა მათ ბანკის თანხა დაუბრუნეს და ჯერ კიდევ ვერ მოუგვარებია საქმე, და ამ დროს მეორე თანხაც დაატყდათ თავზე. მაშინაც და ახლაც დიდ სამსახურს უწევენ ჩვენი გაზეთები რჩევა-დარიგებითი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველი „მკითხველი“ თავის პროექტს აწვდის, საუბედუროთ სწავლაც ბევრნაირია და ისევ იმ მდგომარეობაში ვარდება ბრწყინვალე წოდება, როგორშიაც ორი წლის წინეთ იყო. სასიამოვნოა, რომ პირველი თანხაც სწავლა-განათლების საქმეს უნდათ მოახმარონ და გგონია, შეირთებული თანხებით რამე საფუძვლიანი საქმის გაკეთებას შეიძლებს ეს წოდება, მაგრამ ჯერ სრული გამოურკვეველობა ეტყობა საქმეს და აშკარაა მხოლოდ ერთი: უფულობას მიჩვეული კაცისთვის ფულიანობა უფრო სამძიმო ყოფილა, და ვისურვებთ, მალე დაახწიონ თავი ასეთ მდგომარეობას.

ჩვენი დროის ერთ დამახასიათებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს თითქმის ყველა წრეებში შეგნებული საურთიერთო დახმარების საჭიროება. ერთმა ასეთმა საზოგადოებამ დაიწყო მოქმედება ამ დღეებში თფილისში; დაარსდა საზოგადოება, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს იმ პირთ, რომელნიც წერით ირჩენენ თავს, ე. ი. კანტორშიკებს, გადამწერლებს სხვა-და-სხვა დაწესებულებებში და კანცელარიებში და სხვ. და ჩვენ გვგონია, წინააღმდეგ „НОВ. ОР.“ თანამშრომლისა, ამ კატეგორიის პირებით უნდა განისაზღვროს ახალი საზოგადოების კლიენტურა, მასთან არაფერი კავშირი არ აქვს ბეჭდითი საქმის და სიტყვის მოღვაწეთ, რომელთათვის ცალკე არსდება საურთიერთო დახმარების საზოგადოება*), მაგრამ ეს სრულიად არ ამცირებს ახალი საზო-

*) სამწუხაროა კია რომ დღემდინ ვერ შეკრებილან—წესდების

გადოების მნიშვნელობას. გადამწერლები და საზოგადოებრივი კანცელიარისტები ყველაზე ბენაფი ხალხია, ყველაზე ნაკლებ არიან უზრუნველყოფილი ჯამაგირით და კიდევ ნაკლებ პენსიით. ერთი მხრით ამ მიზეზით და მეორე მხრით ზნეობრივ განვითარებას მოკლებულნი, წარმოადგენენ იმ უგვანო ადამიანის ტიპს, რომელსაც სიტყვა «კანცელიარისტი» საკმაოთ ნათლათ გვიხატავს, და ამაში ყველაზე ნაკლები წილი თვით უდევთ ამ ბედისაგან ჩაგრულ ადამიანებს...

† ლუკა ნიკოლოზის ქე ასათიანი.
(ნეკროლოგი)

ნოემბრის ცხრას, დილით, უცრათ გარდაიცვალა ბათუმის ქალაქის თავი ლუკა ნიკოლოზის ქე ასათიანი. განსვენებული ცნობილი იყო, როგორც დაულაღვი საზოგადო მოღვაწე. ის იყო ღარიბი აზნაურის შვილი სოფ. ქვიტირიდან. განათლება მიიღო ქუთაისის მაზრის სასწავლებელში. შემდეგ შევიდა ბაქოს ოლქის სასამართლოში მწერლათ, სადაც მან შემდეგში მიღწია სასამართლოს წევრის თანამდებობამდის. ბაქოდან ის გადაყვანილ იქმნა ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსათ. შემდეგში ამოიჩინეს ქუთაისის ქალაქის თავათ. ამ თანამდებობაზე დაჰყო მან თორმეტი წელიწადი და ამავე დროს იგი იყო ქუთაისის სათაზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეთაც. შემდეგში ის კვლავ შევიდა სახელმწიფო სამსახურში საგუბერნიო მმართველობის მოთათბირეთ (სოვეტნიკათ). ერთი წლის შემდეგ ის აირჩინეს ბათუმის ქალაქის თავათ, ამ თანამდებობაზე დაჰყო მან 8 წელიწადი.

განსვენებულის პატივის საცემლათ ბათუმის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა: დაწესდეს ლ. ნ. ასათიანის სახელზე თითო სტიპენდია ვაჟების და ქალების გემნაზიებში და საქალაქო სასწავლებელში, ეწოდოს ბათუმის ერთერთ ქუჩას განსვენებულის სახელი. ქუთაისის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა დაიდგას ერთი ლოგინი თოფურის საავათმყოფოში განსვენებულის სახელზე და შემდეგისთვისაც იზრუნონ, რომ დაუვიწყარ ჰყონ მისი სახელი რაიმე საქველმოქმედო საქმით. გადაწყვიტეს აგრეთვე ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს განსვენებულის სახელი.

ბათომიდან განსვენებულის გვამი 10 ნოემბერს მოასვენეს ქ. ქუთაისში და აუარებელი გვირგვინებით შემკული წაასვენეს მის სამშობლო სოფელ ქვიტირში.

სხვა-და-სხვა ამბები.

ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების 11 ნოემბრის კრებას უნდა აერჩა გამგეობის სამი წევრი კანდიდატებათ და ერთიც სარევიზიო კომისიისა, ნაცვლათ ბ. ვ. სულხანიშვილისა, რომელმაც უარი განაცხადა. კრებას მოხსენდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის უარის განცხადება გამგეობის წევრობაზე, (რაც კრებამ მეტათ

პროექტის შესამუშავებლათ და საჭირო შეამდგომლობის აღქმას აგვიანებენ.



სამწუხაროთ მიიჩნია) და საჭირო შეიქნა მეოთხე წევრის არჩევაც. კრების დაწყებისთანავე ზოგიერთებმა (ახნაზაროვი, ა. მიქაბერიძე) განაცხადეს, რომ 4 ნომბრის არჩევნებში მიუღიათ მონაწილეობა ისეთ წევრებს, რომელთაც ხმა არ ქონდათ (ბბ-ლასხიშვილი და გძელიშვილი) ხოლო ერთს კი (ბ. ყაზახიშვილი) ორჯელ უსარგებლნია ხმითო. ყაზახიშვილის შესახებ გამოიკვია, რომ პირველ ჩამოვლახე მას გამოარჩენია ბათუმის სკოლის ყუთი და მეორეთ ჩასულა ამ ყუთში კენჭის ჩასადებათ. ეს დაამოწმა ბ. არ. ქუთათელაძემ და სხვებმა და მით დაკმაყოფილდა კრება. ბბ. ლასხიშვილი და გძელიშვილი არჩეული ყოფილან საზოგადოების წევრებათ 1896 წ., ხოლო რადგან ფული არწარუდგენიათ, წევრთა სიაში კანცელარის არ შეუტანია. თანახმათ გამგეობის განმარტებისა და წესდებისა, კრებამ კანონიერათ იცნო ამ პირების მონაწილეობა არჩევნებში, ხოლო მომავლისთვის დაადგინა, რომ ხმა მხოლოთ იმათ მიეცემა და წევრათ ის ჩაითვლება, ვინც ფულს არჩევისთანავე შემოიტანსო. შემდეგ მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებათ აირჩიეს: კ. ჯაფარიძე (43—30) გ. ლასხიშვილი (48—25) გ. დეკანოზიშვილი (46—28) და არჩ. ჯორჯაძე (56—17) და სარევიზიო კომისიაში კ. მაყაშვილი. ამავე კრებაზე გაშვებულ იქნენ ს. ოცხელი, ჯვარიშვილი და ი. ალხაზიშვილი. ხოლო წინა კრებაზე ა. მიქაბერიძე (58—60) ა. ჭყონია (57—61) ივ. ზურაბიშვილი (52—66) ნ. ხიზანაშვილი (50—68) გ. ყიფშიძე (50—68) პ. სურგულაძე (43—75) ივ. გომელაური (52—66) ევ. გაბაშვილისა (50—68).

პირველ სხდომაზე წერაკითხვის საზოგადოების გამგეობამ აირჩია თანამდებობის პირნი: თავმჯდომარის ამხანაგათ—ნ. ზ. ცხვეთაძე, მდივნათ—ალ. სარაჯიშვილი, ხაზინადრათ—არჩ. ჯორჯაძე.

ამავე საზოგადოების სასარგებლოთ კონცერტი გაიმართება 22 დეკემბერს თფილისის „სობრანიეში“ კნენია ოლვა თადეოზის ასულის ქავჭავაძის თაოსნობით.

«კავკაზის» სიტყვით ბ. ლეონტოვიჩს შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს ქ. ნოვოროსისისკში ყოველდღიური გაზეთის „Черноморское Побережье“-ს გამოცემისა.

პროვინციებიდან იწერებიან, რომ სახელწიფო საადგილ-მამულო გადასახადის გასაწერათ სოფლებში აზომეს მიწები საზოგადოების მიერ ამორჩეულმა პირებმა, მაგრამ რთდესაც პატრონებს დაურიგდათ სიები მიწის რაოდენობისა აღმოჩნდა, რომ მიწები კარგათ არ არის დაზომილი და გადასახადი მეტია შეწერილი, ვიდრე ეს კანონით ეკუთვნოდათ. ამის გარდა ბევრმა აქრა ვენახები, რადგან შეუშინდენ მეტის მეტათ ღიდ გადასახადს. მაგ. სოფ. ენისელში (თელავის მაზრა) ასე მოიქცა 20 კომლი.

შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით, (11 ნომბრის დებემა), შეჩერებულ იქმნა ერთი კვირით გაზ. «რუსსკია ვედომოსტი», ხოლო გაზ. „Петербург. Вѣд.“ გამოეცხადა პირველი გაფრთხილება (16 ნომბრის დებემა).

სახაზინო გლეხები, უმაღლესათ დამტკიცებულ კანონით სარგებლობენ სახელმწიფო ტყიდან განსაზღვრული მასალით; ეს კანონი კარგახანია რაც დამტკიცებულია და ამ ყამათ რადგანაც ხალხი შესამჩნევათ გამრავლდა ამიტომ წინანდელი განსაზღვრული რაოდენობა ტყისა აღარ ყოფნის გლეხებს. ამისგამო რამდენსამე სოფლის საზოგადოებას მიუმართავს თხოვნით სატყეო დეპარტამენტისთვის, რომ მოუმატონ ზემოხსენებულ სახელწიფო ტყიდან განსაზღვრულ გამოსატან მასალის რაოდენობას კომლექულთა რაოდენობის მიხედვით.

ავთამყოფ მოწაფეებს, რკინის გზის ახალი წესით, ნება მიეცათ უფასოთ წავიდენ საქმიოთ დანიშნულ ადგილებში. მოწაფეს უფასო ბილეთი მიეცემა, როდესაც იგი წარადგენს სასწავლებლის მოწმობას.

ამ წლის პირველ იანვრიდან 4 ნომბრამდე ქალაქს შემოსვლია დასაფასებელი გადასახადი 345,3446 მ. 38 კაპ. გასულ წელს კი ამავე დროს შემოსავალი იყო 334,177 მ. 96 კ. ჯარიმა ამ გადასახადის დროზე შემოუტანლობისათვის ამავე ხნის განმავლობაში შემოსულა—17,823 მ. 84 კ.

ქიათურის ტენიკურ კურსებზე ეგზამენები 24—25 ოქტომბერს მოხდა. საეგზამენო კომისიის შეადგენდენ: ოლქის ინჟინერი, მისი თანაშემწე და ერთიც მარკშიდერი. ეგზამენი დაიჭირა 13 კაცმა. ამათგან 12 ქართველია.


ბიბიეობათში (ბაქო) „ბაქოს ნავთის ამხანაგობის“ პრამისლებზე ცემს ნავთის შადრევანი, რომელიც მილიონ ფუაზე მეტ ნავთს იძლევა დღეში. ეშინიათ ცეცხლი გაჩენისა და ბევრი ქალაქში გადმოებარვა. ნავთის ფასი დასცა ამ გარემოებამ და ის ფერმები, რომელიც შადრევანებს მოელადენ, ზომებს ხმარობენ შეაჩერონ და დაავიანონ შადრევანის ცემა. ბევრმა მუშაობა შეაჩერა.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს „ჯეჯილი“ წიგნი X.

რუსეთის ცსოგრება.

რუსტკის ქალაქის თვითმართველობას ფრად სასარგებლო ზომათ დაუნახავს, რომ სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებლებმა დრო-და-დრო თათბირი გამართონ ხოლმე ქალაქში სწავლა-განათლების საქმის განსაუმჯობესებლათ. ამიტომ თვითმართველობას განუზრახავს, სატკოვის სამოსწავლო ოლქის მწრუნჯულს თსოკოს, ნება დაართოს სატკოკში პუდაგოგიური თათბირების შემოღებაზე.

ნიჟეგაროდის საგუბერნიო საკრობო მმართველობას განუზრახავს, შემოიღოს ყველა კრობათათვის საკრობო ბუკდვითი ორგანო, რომ ამით უფრო მჭიდრო კავშირი ქქონდეს ერთმანერთთან სსკა-და-სსკა კრობას. ამავე კრობის მმართველობას უნდა იშუამდგომლოს, რომ სამეურნეო იარაღებსა და მასინებს, რომლებიც სასჯავარ გარეთიდან შემოაქვთ, მთავრობამ ბაჟი ახადოს. თუ ეს შეამდგომლობა შეიწინაურეს, მთავრის სოფლის მეურნეოთათვის და განსაკუთრებით გლეხებისათვის უფრო შესაძლებელი იქნება გაუმჯობესებული იარაღების შექენა მიწის სამუშაოთ.



— ნ ნოემბერს ნიუნი-ნოვგოროდში ადგილობრივ საზოგადოებას სადილი გაუმართავს ა. მ. ჰეშკოვის (მაქსიმე გორკის) პატრონაჟით. სადილზე 125 კაცი შეესწოთა, სსკა-და-სსკა სკოლებისა და წმინდა წამომადგენლები. სადილის წინ წაუკითხავთ ადრესი, რომელსაც საზოგადოება აღტაცებით მიგებუბა. ნიუნი-ნოვგოროდიდან გორკი გამგზავრებულა უირომში.

— საგუბერნიო ერობის კრებაზე ჰერმში 1 ნოემბერს სმოსანს გრიბელს წინადადება შეუტანია, რადგანაც გლეხთა განთავისუფლების დღიდან ორმოცმა წელმა განვლო, ამიტომ დაკარსოთ მედივი საერობო კომისია, რომელმაც გლეხობას ოჯახური, პირადი, და ქონებრივი უფლებათა შენება უნდა გაუადვილოს. იურიდიულ ნორმებს, რომლებიც განაკებენ ადგილობრივი გლეხობის კონომიურ ცხოვრებას, ერობა დღემდე არავითარ უურადლებას არ აქვევდა, შენაშნა გრიბელმა, და უამისოთ ვი სახლის ცხოვრებისა და განთავების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ძალიან უკრძდება.

— ჰერმშივე არსდება მუშათა საერთოერთო დახმარების ამხანაგობა. ადგილობრივ გახეთში უკვე დაბეჭდილია საზოგადოების წესდების პროექტი. საზოგადოების მიზანია, დახმარება აღმოუჩინოს თავის ნამდვილ წევრებსა და მათ ოჯახებს. საზოგადოებას ნამდვილ წევრებათ შეუძლიათ იყონ ჰერმის ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

— გალიციაში განუჩრასავთ, სასახლე თეატრი დაასრულან. დაითხებიან სსკა-და-სსკა პირებს, როგორც ტიპის თეატრი უმჯობესია იქნება და უმეტესობას საუკეთესოთ უტყენია ვარშავის სასახლე თეატრი, რომლის წარმადგენებსაც ორი წლის განმავლობაში 1 1/2 მილიონი ისეთი მანუშრებული დასწრება, რომლებსაც მანამდე თეატრზე არავითარი წარმადგენა არ აქონიათ.

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

ინგლისი. ზავის პირობები, რასაც კრიუგერს აწერდა ზოგიერთი გაზეთები, ტყუილი გამოდგა. ბურების დელეგატმა ვოლმარანსმა გადაცა ამსტერდამის კორესპონდენტს: არავითარი ზავის პირობები კრიუგერს არ შეუდგენია და სანამ ინგლისი არ აღიარებს ორივე რესპუბლიკის სრულ დამოუკიდებლობას, ზავის შესახებ ლაპარაკი მეტიაო. ინგლისის სამხედრო სამინისტრომ მოთხოვა კიტჩენერს, შეატყობინოს, ომის გამოცხადებიდან რამდენ ინგლისელს დაუყრია იარაღი და დანებებია ბურებსო. კიტჩენერს მალე დაუკმაყოფილებია თავისი სამინისტრო, მაგრამ მისი პასუხი არაფერი სანუგეშო გამოდგარა: ეს რიცხვი იმოდენა ყოფილა, რამოდენასაც სრულებით არავენ არ მოელოდა ინგლისში.

რადგანაც საფრანგეთიდან ვალდეკრუსოს კანონის შემდეგ იეზუიტთა ბერები ინგლისშიაც ბლომათ გადასახლდნენ, ამიტომ პროტესტანტთა კავშირმა უმაღლეს მთავრობას მიმართა და თხოვა: იეზუიტები უნდა ნელანელა განედენოთ აქედან და ინგლისში დასახლება აღეუკრძალოთო.

უმაღლეს სამხედრო წრეებში ხმა დადის: კიტჩენერი სამსახურს თავს ანებებს და აფრიკიდან ინგლისში ბრუნდებაო. წინეთ ამის მიზეზათ ასახელებდნენ უთანხმოებას კიტჩენერსა და მილნერს შორის, ახლა კი ამ-

ბობენ, კიტჩენერი ავით არისო. ამბობენ კიტჩენერის ალაგს გამილტონი დაიჭერს. გამილტონი ინგლისის ჯარში საუკეთესო გენერლათ ითვლება.

ამ ცოტა ხანში გამოაცხადეს ანგარიში ინგლისის მუშათა კავშირების მოქმედებისა 1900 წ. წარსულ წელს ტრედ-უნიონისტების რიცხვი ასულა თითქმის ორ მილიონამდე. კავშირებში მონაწილე ქალთა და ბავშვთა რიცხვი 60% ცოტა მეტია. კავშირები წლის განმავლობაში მატერიალურათ ეწვეოდნენ უსაქმოთ დარჩენილ მუშებს, ავთმყოფებს, მოზუტებულებს და ამან დიდი ხარჯი გამოიწვია. მიუხედავთ ამისა წარსული წლის გასულს კავშირებს დარჩენიათ ხელუხლებელი 3,767,000 გირვანქა სტერლინგი.

საზრანგეთი. პარიჟში დაარსდა «ქალთა ლიგა» იმ მიზნით, რომ ქალებს მონაწილეობა მიალეზიოს საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობაში. ლიგის წევრი კონსერვატიული მიმართულებისანი არიან და მომავალ არჩევნებზე ეცდებიან ვაათეორონ თავისი რწმენა-შეხედულების კანდიდატები. „ჩვენო, გამოაცხადეს ლიგის წევრებმა, როგორც ქალებს, გაჭირვებულნი გვებრალეზიან, მაგრამ უარეყოფთ სოციალიზმს, რადგანაც ის ღარიბებს მხოლოთ ატყუებს. როგორც საფრანგეთის ქალებს, ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ვითხოვთ, რომ მისი მართვა მხოლოთ ფრანგების ხელში იყოს. როგორც დედები, ჩვენ ვითხოვთ, რომ ჩვენი შვილების აღზრდა ჩვენს ხელში იყოს და არა მინისტრებისა და დეპუტატების ხელშიო.“ ლიგაში 500 ათასი ქალი ჩაწერილა პროვინციებიდან.

მთა-მადნის მუშათა დელეგატებისა და პარლამენტის კომისიების მოლაპარაკებამ ჯერ ვერაფერი გამოარკვია. თუმცა კომისიები არ არიან წინააღმდეგი სამუშაო დღის შემოკლებისა, მაგრამ პენსიებზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ.

აშსტრო-უნგრეთი. საქმეები იმგვარ არა ნორმალურ მდგომარეობაშია, რომ შესაძლებელია პარლამენტში საქმეების წარმოება სრულებით შეჩერდეს. ამიტომ მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა წინადადება მიცა სხვადასხვა პარტიების მეთაურებს, როგორმე მორიგდით ერთმანეთშიო. მინისტრს იმედი აქვს, რომ ამ გზით ბოლოს მოუღებს იმ ქიშპობასა და გამწვავებას, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდნენ. მაგრამ საეჭვოა, რომ ჩხელებმა მინისტრის იმედები გაამართლონ: ისინი ითხოვენ, ბოგეშიაში და მორავიის უნივერსიტეტში ჩეხური ენა ოფიციალურ ენათ იცნონ და სანამ მათ თხოვნას არ დააკმაყოფილებს მთავრობა, ისე მათთან მორიგება ძალიან გაჭირდება. ჩხელების მეთაურმა გეროლდმა გამოაცხადა: სანამ ჩვენს თხოვნას არ დააკმაყოფილებთ ჩვენი სამშობლო ენის შესახებ, მანამდე ობსტრუქციას თავს არ დავანებებთო.

ჩინეთი. ჩინელი დაწყნარებას არ აპირებენ. ხოანგის პროვინციაში შემდგარა ახალი ფარული კავშირი, რომელიც საშინელი ენერგითა და გამწვავებით მოქმედობს ევროპიელთა წინააღმდეგ. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ყოველი ოჯახი ვალდებულია, ამ კავშირში გაგზავნოს ერთი თავისი წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჩათვლის კავშირი სამშობლოს მოალაპტეთ; ამგვარ ოჯახებს კავშირი ცალკე სიაში წერს



და შემდეგ ყოველგვარ შევიწროებას აყენებს, სასიკვდილოთაც აღარ ზოგავს. თუმცა იმპერატორის მიერ ედიქტია გამოცემული, რომელიც სასტიკათ უკრძალავს ყველას ფარულ საზოგადოებებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ახალი კავშირი იმდენათ ფანატურათ მოქმედობს, რომ ყველას შიში დასცა და ისინიც კი უერთდებიან მათ, ვინც გულში მათი წინააღმდეგი იყვენ და იმპერატორის ედიქტის მორჩილათ აღმასრულებელნი. უკვე სამოც-და-ათი სოფელი მიკედლებია ამ ახალ მოძრაობას.

გელგია. ბურების დატყვევებულ ცოლ-შვილთა უკიდურესმა მდგომარეობამ სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის ყურადღებას მიიზიდა, და უკანასკნელმა გამოაცხადა თავისი მოწოდება, რომლითაც იგი იწვევს თავის პარტიის წარმომადგენლებს, შეეკითხონ პარლამენტებში თავიანთ მართებლობათ, რა ზომების მიღებას ფიქრობენ სამხრეთ-აფრიკის ომის ბოლოს მოსაღებათ და რითი ფიქრობენ ხელი შეუშალონ დედა-კაცებისა და ბავშვების შიმშილით ამოწყვეტას. ასეთი შემადრწუნებელი სანახაობის ცქერა არ შეუძლია ჩვენ პარტიას უმოქმედოთ, ის უნდა დაეხმაროს ნეკლისელ ამხანაგებს, რომელნიც იცავენ ამ ბედკრულთ, მან უნდა მოუწოდოს მართებლობას ამ საქმეში ჩასარევათ, რათა ის მაინც გადაარჩინონ, რის გადარჩენაც შეიძლება, ხოლო საცა პარლამენტები არ არის და ამ გზით მოქმედება არ შეიძლება, იქ უნდა გაიმართოს სახალხო კრებები და დღიურ კითხვათ უნდა იქნეს დაყენებული სამხრეთ-აფრიკის ომი და იქაური სამხედრო ბანაკებია.

სამხრეთ-აფრიკა. კაპშტადტში მოგელიან ბურების თავდასხმას. სოგმერსეტიდან ცხენოსანი მილიციის უფროსი იუწყება, 200 მილიციონერმა ბრძოლაზე უარი განაცხადა ბურების მოახლოვებაზე და თუმცა ერთის მეტი დაქრილი არა ჰყავდათ, მაგრამ ბურებს დანებდნო. ლონდონიდან ოფიციალური ტელეგრამა იუწყება ინგლისელების ახალ დამარცხების შესახებ. ამბობენ, დევეტმა და დელარემ ისევ დააწყეს მოქმედება ბრძოლის ველზე. კიტჩენერის სამსახურიდან გამოსვლის შესახებ გავრცელებული ხმები არ მართლდება. ამბობენ, ის ომის გათავებამდე დარჩება აფრიკაში. გამილტონი მხოლოდ იმისი შტაბის უფროსათ დაუნიშნავთ. მარსელში მოვიდა ლუი ბოტას მიერ გამოგზავნილი გერმანელი—მეიერი. მეიერს მიაქვს წერილები კრიუგერთან. მეიერის სიტყვით, ბურების მდგომარეობა ძალიან კარგია, მათ ახლა 16,000 საუცხოვოთ შეიარაღებული ჯარის კაცი ყოლიათ. კიტჩენერი თურმე მეტათ მხეცურათ მოქმედებს; ვიზედაც ექვს შეიტანს თურმე, ყველას ხვრეტავს თოფით, გინდ ბური იყოს, გინდა გერმანელი და გინდა ფრანგი.

კორეის ჰონდენციები.

სოფ. კუხი (ქუთაისის მაზრა). ქუთაისის გუბერნიის მკაბრეშუქეთა ამხანაგობისაგან გამოწვეულ საქმეებს წინ მსჯელობის მაგიერ უკან სულა ეტეობა. კუხში აწსებულა აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ცუდ მდგომარეობაშია და უარესი დაქარბება, თუ ასე გულ-გრილათ დაუწეო ამხანაგობამ მისი საქმეების მიმდინარეობას ცქერა. ხეს. წერეთელი, რომელსაც

ამხანაგობისაგან მინდობილი ჰქონდა საქმის წარმოება, სრული ენერგიით ასრულებდა ამდენ სანს თავის მოკალებას, მაგრამ დღეს ისიც გულ-აღრუებით უეუტებს დაქვეითებულ საქმეს. ამხანაგობის მიზანი ის არ ყოფილა, რომ თავისი ვიბეები გაესქალებინა, არამედ ის, რომ მოსულ გ-ტრებისთვის მუქათათ არ ჩაუყარა ხელში აქაური ხალხის სიმდიდრე. წინა წლებში დატკ გლეხებსაც მოკება ჰქონდა და ამხანაგობაც კმაყოფილი იყო. შარშან კი უკვლავ მოკატრებმა იზარაღეს, რადგანც ბ-ნმა წერეთელმა ადგილობრივ ფასს საგმნობელათ აუწია, და თან ბერეი შარეი იყიდა; სასდგარ-გარეთ კი შარეის ფასი დაეცა. ამ გარეა გ-ტრებით, ძართლათ ამხანაგობამ იზარაღა, მაგრამ ეს შარადი შარაღათაც არ უნდა ჩაითვალოს, რადგანც თუ ამხანაგობამ შარადი ნახა, სამაგეოროთ მოკება სკდა წილათ ჩვენსაკე მეზობლებს ადგილობრივ ფასის აწევით.

იმედია, ამხანაგობა თავის გამოწვეულ საქმეს არ უღალატებს და ნაოთურ შემწეობას არ დაიშურებს დაქვეითებული საქმის გამოსახუნებლათ.

ილია ბახტაძე.

წმრილი ჟუთაისიდან.

5 ნოემბრის კრება ქუთაისის ქრონიკაში მორიგეობით ჩვეულებრივი იყო, ხოლო შინაარსით კი არა ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია არა ჩვეულებრივი რიცხვი (32) დამსწრე ხმოსნებისა, რომელნიც ამ ხელათ წვიმიან-ტალახიან ამინდსაც არ შეუშინდენ. შეიძლება ამ მრავალ-რიცხოვნობას ხელი შეუწყო გარემო გარემოებებმაც, მაგ., თფილელ თანამომქმე ხმოსნებისადმი კრებებზე იმათი დაუსწრებლობის შესახებ მუდმივმა საყვედურმა; შეიძლება ზოგი მეტათ დაინტერესებული იყონ პირადათ ამ დღეს ზოგიერთ საკითხების გადაწყვეტაში, რის მაგალითს ჩვენ ქვევით დაინახავთ. რა თქმა უნდა, ზოგიც (სამწუხაროთ ჩვენდა უმცირესობა) ეტყობოდათ მართლიერების გზაზე მდგომნი, მიუხედავათ ურწმუნო თომებისა, გულ-ახდილ სჯაბაასს ეწეოდა და ქეშმარიტების გამორკვევას ცდილობდა. ასე იყო თუ ისე, კრება თავიდანვე საინტერესო შეიქმნა და სრულიად ამგვარ გარეგან შთაბეჭდილების მოულოდნელობაში ვიყავით, როცა ქალაქის თავმა ერთ ფურცელ ფოსტის ქალაღლზე დასტამბული განსახილველათ დანიშნული საქმეების სია აიღო, წაიკითხა მისი პირველი მუხლი: „სარევიზიო კომისიის მოხსენება ქალაქის გამგეობის 1898 წ. მოქმედების შესახებ“, და დარცხვენის კილოთი დაუმატა: „სამწუხაროთ არც დღეს შეგვიძლია ამ კითხვის გარჩევა, რადგან კრებაზე არ არის სარ. კომ. წევრი ბ. ფიფინოვი“. ამ „არ გამოცხადებას“ ბ. ქალაქის თავი ჩვენ მახსოვრობაში ნ—ნ-ჯერ იმეორებს და სწორეთ კი ჰქონიათ დასარცხვენი საქმე „ქალაქის მამებს“, როდესაც ერთ და იმავე საკითხის *) გადასაწყვეტათ ერთი, ან ორი კაცის შემყურენი არიან და ეს უკანასკნელნი, «მზით უნახავები» კი ლამლამობითაც

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საკითხი ქუთათურთათვის ერთი უშესანიშნავესთაგანია; მან უნდა გამოარკვიოს ბ. ლოღლუასდროინდელ მმართველობის მოქმედება, აღნუსხოს, მოიწონოს თუ დაიწუნოს იმათი ნასაქმი, რაც მუდამ ასე აინტერესებდა ქუთათურ ნამადვილ თუ ცრუ მოღვაწის სახელის მატარებლებს...

კარინავერას გარეთ არ ცილდებიან, იციან რა, რომ უმა-
თოთ საქმე არ კეთდება.

ქალაქის სასწორების იჯარით გაცემის საკითხის გარ-
ჩევის დროს აღმოჩნდა, რომ ხმოსნებიც დიდ გაჭირებას
გრძნობენ სასწორების მოიჯარადრეთა თავგასულობისა-
გან და მეტათ გაცხარებული ლაპარაკობდნენ «ქალაქის
ყაფნებზე». იმათ აღნიშნეს, რომ წელს მაგ., დიდძალი
ყურძენი და ხილი იყიდებოდა ბაზრებში; მწონელები წი-
ნაღმდევ კანონიერი ტაქსისა, თავიანთ «ტაქსასაც» ხმა-
რობდნენ, ურემ ყურძენზე თითო ბათმანიან კალათის ყურ-
ძენს იღებდნენ და ასე ამგვარათ ბეგრავდნენ, როგორც
მყიდველებს, ქალაქის მხმარებელს, ისე გამყიდველ—სო-
ფლებს.

ქალაქის თავიც აღელებით, ამგვარ მოვლენის და
ფაქტების აღმწესხველთა გულის დასამწვიდებლათ შეპირ-
და მათ, რომ თუმცა დღემანდღამდე ქალაქის მართვა-
გამგეობაში ყოველგვარი უწყესობა სუფევდა, მარა ამიე-
რიდან კი ჩვენ ხელში სრული წესიერების და სამარ-
თლიანობის მოწმები იქნებოდა. ამას შეგვპირდა ქალა-
ქის მოურავი და ჩვენც ვუსურვებთ დაპირებულის გან-
ხორციელებას.

უარეს თავგასულობის მოწმენი არიან ქუთათურები
და მათი მზარეულები (რომელთა მოწმობა კიდევ კაი,
რომ ამგვარობაში მაინც მიანიხათ სარწმუნოთ) ქუთა-
თურ მეყასბეებისა. ტაქსა მათთვის მხოლოთ საყასბოს
კვლეების დაამაშვენებელი ფარატინია, და, თუ კვალში
ჩაუდევით და ტაქსით ხორცის ყიდვა განიზრახეთ, ერთ
ყასბისებურ ლანძღვით შეგამკობს და თუ მისი მუდმი-
ვი მუშტარი არა ხართ უხორცოთაც გამოგისტუმრებს.
ეს ხომ მათ ასე აქვთ პრაქტიკაში შემოდებული, მარა
ხანდახან თავიანთ მოქმედებას რომ ოფიციალური ფორ-
მა მისცენ, „გააშანშალებენ“ თხოვნას და საბჭოს თავს
შეაბრალებენ: საკლავები გაგვიძვირდა და ხორცზე ფასი
მოგვიმატეთ, თორემ გავკოტრდით, საყასბოები უნდა
დავკეტოთ. ხმოსნებმაც, იციან რა მათი არა ღეგალურ-
ი მოქმედება, იძულებულნი ხდებიან ყურათ იღონ მათი
ვედრება, ქალაქზე აღნიშნონ, ოფიციალური ხასიათი
მისცენ მათ ფულის მოხვეტის მადა-გახსნილობას და თი-
თო-ორი კაპეიკი მოუმატონ უკვე ქალაქზე არსე-
ბულ ნიხრს. ნ ნოემბრის კრებაზეც ასე მოიქცენ ხმო-
სნები და აგერ ამ შოკლე ხანში მესამეთ ნათხოვნი ნი-
ხრის მომატება ყასბებს დაუკმაყოფილეს.

ამავე კრებამ განიხილა ქუთათისის გიმნაზიის დირექ-
ტორის თხოვნა 15000 მან. სუბსიდიის შესახებ, რომელ-
საც ამ 15 წლის წინეთ დაპირებია ქალაქი, მარა დღემ-
დე «ენუქას ანდერძათ» დარჩენილა. აი ეს ანდერძი ერ-
თხელ კიდე გაახსენა მან ხმოსნებს ნ ნოემბერს.

მოიმდე მოურავმა აქაც დაიმედა სასწორკვეთი-
ლებას მიცემული ხმოსნები და ეს «ენუქას ანდერძის»
შესრულება მიაპირა ბანკში ქალაქის მამულის დაგირავე-
ბით გამოსატან ფულს, რომელზედაც ხაზინას თავისი
მხრით სხვა ვალების გამო «ზაპრეშენიე» დაუდევს. ასე
რომ, ვკონებთ „ენუქას ანდერძს“ კიდე გვარიან ხანს ერ-
ქმევა ეს სახელწოდება, რაკი „ქალაქის მამები“ სულ ქა-
ლაქის დახლში თავგების დაბუდებასა და დაცალიერებას
გვიჩინებენ ყურში...

დახლის დაცალიერებას მოახვიეს თავს ქალაქის
თვითმართველობაში რამდენიმე დაბალ მოსამსახურე პი-
რების დაჯილდოების საკითხიც. საქმე ის არის, რომ ამას
წინეთ ქალაქის მოურავს დაუთხოვნია სამსახურიდან რა-
მდენიმე დაბალი მოსამსახურეები: მელამპე, მეკაქკე, მხე-
ტელი და სხ., რომელთაც ზოგს 10, ზოგს 7 და ზოგს
ნ წელიწადი უმსახურნია ქალაქისათვის. რადგანაც წერი-
ლი ცოლშკილის პატრონები ვართ და უადგილოთ და-
გვტოვეთ, ამბობენ ისინი თავიანთ საბჭოსადმი მიმარ-
თულ თხოვნაში, დაგვიფასეთ ამდენი ხნის ნამსახური
და ერთხნობით დახმარება აღმოგვიჩინეთო. ზოგიერთე-
ბმა (სვანიძემ, დ. კვირკველიამ და სხ.) სამართლიანათ
მოითხოვეს გამგეობისაგან იმ პირების დათხოვნის მიზე-
ზები, რადგან თუ უმიზეზოთ არიან დათხოვნილი, ამგვა-
რი საქციელით ჩვენ ყველას დავაფრთხობთ და ჩვენ და-
წესებულებაში სამსახურს არც ერთი ხეირიანი მშრომე-
ლი არ ისურვებსო. მარა ქალაქის თავმა ამგვარი მათი
ცნობის-მოყვარეობა უკანონოთ, ალბათ შეურაცხყოფა-
თაც მიიჩნია და უპასუხა: «мы не обязаны доклады-
вать вамъ о причинахъ ихъ увольненія; вѣроятно,
были какія-либо причины, что уволили». და ეს «ка-
кія-либо» თურმე ნუ იტყვიოთ ზოგისთვის ის იყო, რომ
იმათი ალაგები გავაუქმეთო, რაც ივერულ ზრდილობია-
ნობის პრაქტიკაში ხშირათ იციან უფროსებმა უცროს
თვისის კოლეგების შესახებ და შემდეგ აღმოჩნდება, რომ
ეს «ადგილის გაუქმება» მართლაც ზრდილობიანათ არა სა-
სურველ პირის მოსაშორებელი სიტყვა-პასუხი იყო. და-
ნარჩენების დათხოვნის მიზეზების თქმა ქალაქის თავმა
მაინც არ ისურვა. ვერ წარმოგვიდგენია, რატომ უნდა
უმალავდეს გამგეობა საბჭოს წევრებს მაინც რაიმე თვის
ნამოქმედარს! ნუ თუ «канцелярская тайна»-ს აქაც აღ-
გილი უნდა ჰქონდეს?!

ხშირია ისეთი შემთხვევები და ზოგს ჩვენ ყურამდი-
ნაც მოუდწევია, რომ დათხოვნილი ბევრს ცდილობს და-
თხოვნის მიზეზის, თუ მიზეზების გაგებას, მარა მთხო-
ვნელს საცადისი უბრალოთ ჩაუვლის და უფროსების
„დღეს-ხვალისობის და ახლა არ მცალიან“-ის ძახილით
მათ თავი ბეზრდებათ სიმართლის გამორკვევაში. ამის მა-
გალითები, უეჭველია, ზოგიერთ ახლანდელ ხმოსნებსაც
ჰქონდათ გათვალისწინებული, როდესაც ასე დაქინებით
თხოულობდნენ ახლანდელი მოსამსახურეების დათხოვნის
მიზეზებს, მარა, ბოლოს ერთმა მაძღარმა და, უეჭველია,
ქუთათისის კასის სცალიერის კარგათ მცოდნემ ყასიდათ
იკითხა: „გვაქვს კი თანხა“-ო და, როცა ხმამალა უპა-
სუხეს «რასაკვირველია არაა»-ო, მაშინ ამაყათ და დაცი-
ნვის კილოთი დაასკვნა: «მაშ რაღაზე ლაპარაკობთ» და
ამნაირათ ლაპარაკიც კი მეტათ მიიჩნიეს რალაც სულ
60—100 მანათის სათხოვარზე, რაც შედგებოდა თითოს
ერთი თვის 15—25 მან. ჯამაგირისაგან და რაზედაც
მათ უარი ეყოთ 20 ს.ის უმეტესობით 11 წინაღმდეგ.

შემდეგ გაცხარებული ლაპარაკი გამოიწვია ოთხი
ხმოსნის წინადადება მწვანე ბაზარში საეპტრო ბუტკების
საქმის ხელახლა გადასინჯვის შესახებ, რაც ამ საკითხის
წინანდელ კრებაზე აჩქარებით გადაწყვეტოთ მეტათ არ ეპი-
ტნავათ. საქმის გადასინჯველები თხოულობდნენ, რომ
„ახლათ გაკეთებული და გამწვანეირებული“ მწვანე ბა-
ზარში მეხილეებისათვის „ბუტკების“ აშენების ნება არ



მიეცათ, რადგან ისანი ერთგვარ ფეხისალაგებათ ხდებიან; მათ გარშემო მუდამ დაბილწული, მოახრებული და ამყრალბულია ყველაფერი და მეორეც ეს „ბუტკები“ აქვევებენ ბაზრიდან სოფლის ხალხს, რომლებსაც განაცქალაქის ჩარჩ-ვაჭრები შამოსვლისათანავე ყიდულობენ კიტრის ფასათ სანოვაგებს და მერე მამასისხლათ ყიდიან მცხოვრებლებზე; მესამეც მეტის მეტი სივიწროვე ნებას არ გვაძლევს ამ ვიწრო მოედანზე „ბუტკები“ გავაშენოთ, ეტლით და ისე სასიარულო ასე შეეხუთათო.

გამგეობა, როგორც უფრო დანტერესებული ქალაქის დღევანდელ დაცალიერებულ კასაზე ზრუნვით, ბევრი ეტადა დაერწმუნებია ხმოსნები, რომ «ბუტკების» აკრძალვით ქალაქის დახლს 1200 მან. შემოსავალი მოაკლდება და ეს კი ცოტას არ ნიშნავს ჩვენთვისო. მე შემომივლიაო, თქვა ქალაქის თავმა, რუსეთის ყველა ქალაქები და ხელში მაქვს ყველა ამ ქალაქების ანგარიშები, საიდანაც ჩანს, რომ ქალაქებს მრეწველობის ამ დარგიდან დიდძალი, ათი და ასიათასობით შემოსავალი აქვსო. გამგეობის წევრმა ბ. გ. გველესიანმა საპოლიტიკო ეკონომიის მიწოდება და მოთხოვნების—კანონებითაც კი განუმარტა ხმოსნებს „ბუტკების“ საჭიროება მწვანე ბაზარზე, რათა იმათი კონკურენციით სანოვაგის გაიფუტა გამოვიწვიოთო, მარა ხმოსნების უმრავლესობა (20 წინააღმდეგ 12-სა) მაინც იმ აზრისა დარჩა, რომ „ბუტკების“ აშენების ნება არ მიეცეთ მეწვანე ილეებს, ამისათვის სხვა ადგილი შეიძინოს ქალაქმა და იქ გაუჩინოს იმათ ადგილიო. ამიტომ ამოიჩინეს კომისია (უმეტესათ ექიმებისაგან შემდგარი), რომელმაც უნდა განიხილოს ყოველივე წინანდელი დადგენილებანი ამ საკითხის შესახებ და ადგილობრივ დათვლიერებით გადაწყვიტოს საუმჯობესო გზა მწვანე ბაზარში ვაჭრობის საქმის მოწესრიგებისა.

(დასასრული იქნება)

სტუდენტის დღიურიდან.

20 ნოემბერი. ...«არსიდან ხმა, არსით ძახილი», ნამდვილათ ასეა ჩემს „კამორკა“-ში, არც წერილები, არც მომსვლკლები—ამხანაგები არ მაწუხებენ; ერთი მაინც შემოგნებდა ვისმე ან ავს მეტყოდა, ან კარგს; მეც ჩემი მხრით ჩემი დღიური ვარამით გავართობდი და იქნება გულზე ცოტა მაინც მომეშვებოდა. ან კი ვის მოძულებია თავი, რომ აქ შემოვიდეს? და მე თითონ აბა სად წავალ ამისთანა „მაისის“ დღეებში უპალტოვოთ და უკალოშოთ, თორემ ჩემ ოთახში ახლა ყოფნას ქვის კოდვა ჯობია. გარეთ უფრო თბილა ვინემ აქ. სულ ლოგინში როგორ გავატარო დღეები ტანთელმა კაცმა და, თუ ლოგინს მოვცილდი, იმისთანა თქვენი მტერს, მე რომ მომივა,—მართლა რომ სამუდამოთ ლოგინათ ჩავვარდები. დალოცა ღმერთმა, რომ სადილის საჭმელათ სასადილოში წასვლა აღარ მჭირდება, რადგან შინ ვიხდი „შვიდოულს“, თორემ მაშინ იქნებოდა ქოჩრის გლეჯა! დაღამდა კიდევ და, მგონი, ნაფთიც აღარ მაქვს, დილას შექარბაც თავი დამიკრა, გამომემშვიდობა და არ ვიცი, როდის მობრუნდება: ეს ოხერი, რაღა ახლა გამომელია ყველაფერი? სადაც არის გოგო შემოვა

და რა მიეცე ყოველივე ამის საყიდლოთ, როგორ დავშალო ჩემი ოქრო „არაფერიანი“? არ იტყვის, სული წმიდა ხომ არ არისო? შიმშილიც მე და ბნელაში ყოფნაც! მართლა, სახლის პატრონი—ქალი... დღეს უკანასკნელი ვადაა სექტემბრის და ოქტომბრის ფულის მისაცემი. სადაც არის ისიც შემოგ.ა.. ოცისთვის რომ შევპირდი, რომელი ჯამაგირის აღებას მოველოდი, მკითხოს კაცმა? კიდევ კარგი, რომ ამ სემესტრის ლექციების ფული, რომელიც ზაფხულზე ბავშბიდან ავიღე, ჩამოსვლისათანავე შევიტანე, თუმცა საქმელათ კაპეკი არ დამჩინია. ამ ხრით მაინც თავისუფალი ვარ. დიდი იმედით ვუყურებ ჩვენ მომავალ ქართულ საღამოს, რომელიც ზევ გაჩაღდება; იქნება მისი შემოსავლიდან ცოტა რამ მერგოს და წელიწადში ერთხელ მაინც გავსინჯო „წვნიანი“ რამ, ე. ი. ვისადილო და მისთან ცოტა რამ სახლის პატრონი — ქალსაც ვარგო.

10 იანვარი. ...პირველი სემესტრი, როგორც იყო, გავატარე, მაგრამ ამ მეორეს რაღა ეშველება! დღეები დღეებს მიყვება, თვეები თვეებს, ჩემს შიმშილს კი არაფერი ეშველა, სადაც წავალ თან მიმყვება, ეტყობა, ძლიერ შეეყვარებოდა; საფიქრალია, სამარემდინაც მიმაცილებს; აი ასე უნდა ერთგულება. ნეტა ამისთვის წაება-და მეფოსტეს, ასე მალ-მალ ნეტა ის მეჩვენებოდეს! საწყალი ჩემი წერილების ყუთი ერთთავათ დარაჯია, მეფოჩტეს ელოდება, მაგრამ მის ლოდინს დასასრული არ მიეცა. ეს ერთი ხანია; დედა-ჩემი არაფერს მწერს, ნეტა ვიცოდე, რა მოუვიდა, რატომ ცალიერი ბარათი მაინც არ გამომიგზავნა, თუ ტვირთიანი არ შეიძლებოდა?..

